

გარემო პირობების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე
(მდინარე სუფსის ზემო დინების აუზის მაგალითზე)

მირანდა გურგენიძე

ელ - ფოსტა: miranda.gurgenidze2013@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი. ზუსტ და საბუნებისმეტყველოს მეცნიერებათა
ფაკულტეტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზირი #3, თბილისი

ანოტაცია

საქართველოში სამედიცინო გეოგრაფია ნაკლებად განვითარებული დარგია. ჩვენი ქვეყნის ლანდშაფტური მრავალფეროვნება და ხალხის წეს-ჩვეულებები, ამ კუთხით საინტერესო კვლევების ჩატარების საფუძველია. სამედიცინო გეოგრაფია, როგორც ინტეგრალური გეოგრაფიის მიმართულება შეისწავლის გარემოს სხვადასხვა კომპონენტების გავლენას ადამიანის ჯანმრთელობასა და დაავადებების გავრცელებაზე. შესაბამისად, ქვეყნისთვის, ამ დარგში გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი მრავლისმომტანი იქნება. შესაძლებელი გახდება სამედიცინო გეოგრაფიის მონაცემების გამოყენება ჯანდაცვის სისტემაში და მკურნალობის განსხვავებული მეთოდების შექმნა, სადაც უპირატესი მნიშვნელობა გეოგრაფიულ ფაქტორებს მიენიჭება. ამასთან, საქართველოსთვის, როგორც განვითარებისკენ სწრაფი ტემპით მიმავალი ქვეყნისთვის, აუცილებელია, ყურადღების გამახვილება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, მითუმეტეს, საინტერესო იქნება იმ განსხვავებული სურათების შედარება, რაც ამ მხრივ მოსალოდნელია მივიღოთ ურბანულ და რურარულ უბნებში, მაღალმთიან და ბარის ტერიტორიებზე და ა.შ.

ასევე, მნიშვნელოვანია სამედიცინო გეოგრაფიული კვლევის მაგალითზე კონკრეტული მეთოდოლოგიების შემუშავება, რომელიც გამოავლენს

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ელემენტებს განსხვავებული გეოგრაფიული არელების მიხედვით.

საქართველოში არსებული სამედიცინო დაწესებულებებისთვის მნიშვნელოვანია ავადობების გეოგრაფიული თავისებურებების წარმოჩენა, რათა შემუშავდეს მკურნალობის შესაბამისი მეთოდი. აუცილებელია, მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის გაზრდა, რათა გამორიცხული იქნეს ცნობიერების დაბალი დონის შედაგად გამოწვეული ან გამწვავებული დაავადებები.

ამგვარად, ეს ნაშრომი შეიძლება პირველ ნაბიჯად ჩაითვალოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული დაავადებების შესწავლისა და საქართველოში სამედიცინო გეოგრაფიის განვითარების პოტენციალის წარმოჩენის გზისკენ.